585
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 6

1984

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 6 (486) ივნისი 1984 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


171. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე შეტანილი წინადადებების შესახებ.

173. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ს. ჟორდანიას საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

### საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გ. ნ. კურტანიძის, გ. ს. მამაცაშვილის, ტ. ვ. ლორთქიფანიძის, ბ. ე. სარალიძის, ა. ი. კავსაძის, ლ. ი. ხაბურზანიას, ა. ზ. ღოლიჯაშვილის, თ. შ. ქევხიშვილის, გ. გ. გუმბარიძის და ზ. ხ. ავიძბას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

176. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა რესპუბლიკაში რეალიზაციის ამოცანების თაობაზე.

179 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

180. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

181. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „ამხ. ნ. გ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქ. ა. კოტოშაშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის შესახებ.

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

14810

## განყოფილება მეორე

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. მიქაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. ხოსიტაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „საქართველოს ქალის" მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. ჭანიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფისათვის „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. მახარაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. გ. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ბ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ბერულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. შ. ელიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. დ. ოზიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. დ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „საქართველოს ქალის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „საქართველოს ქალის" მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

205. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ო. ანდრიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

206. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

207. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ი. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

208. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

209 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

210. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

211. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ე. წივწივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

213. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ს. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

214. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. ელიოზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

215. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. დ. მჭედლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ მუდმივ კომისიებში.

ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 171 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დღის წესრიგში შესატანად შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის არჩევის შესახებ.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. გილაშვილი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა რესპუბლიკაში რეალიზაციის ამოცანების თაობაზე.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. ე. ჩერქეზია.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მოწონებულ იქნეს წინადადებანი საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობის წესის შესახებ.

III. უხუცესთა საბჭოს სხდომა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოწვეულ იქნეს 1984 წლის 2 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 1 ივნისი.

№ 2473—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 172 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე შეტანილი წინადადებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შედეგების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და დეპუტატებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 6 ივნისი.

№ 2485—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 173 ამხ. ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ირაკლი გრიგოლის ძე **გვერდწითელი** საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სამეცნიერო სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 13 ივნისი.

№ 2493—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებ:

**174** ამხ. ი. ს. ჟორდანიას საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ირაკლი სერგოს ძე **ჟორდანია** საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 13 ივნისი.
№ 2494—X

## საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**175** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გ. ნ. კურტანიძის, გ. ს. მამაცაშვილის ტ. ვ. ლორთქიფანიძის, ბ. ე. სარალიძის, ა. ი. კავსაძის, ლ. ი. ხაბურზანიას, ა. ზ ღოლიჯაშვილის, თ. შ. ქევხიშვილის, გ. გ. გუმბარაძის და ზ. ხ. ავიძბას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გიორგი ნიკოლოზის ძე კურტანიძის, გურამ სპარტაკის ძე მამაცაშვილის, ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძის, ბორის ერასტის ძე სარალიძის, ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძის, ლეო იასონის ძე ხაბურზანიას, არსენ ზაქარიას ძე ღოლიჯაშვილის, თამაზ შალვას ძე ქევხიშვილის, გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის და ზაურ ხაკის ძე ავიძბას უფლებამოსილება, რომლებიც აირჩიეს 1984 წლის 29 აპრილს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ელმავალმშენებელთა № 11, ოქტომბრის რაიონის მარქსის № 31 და კლარა ცეტკინის № 34, კალინინის

რაიონის კალინინის № 40, საბურთალოს რაიონის დელისის № 65 ორჯონიკიძის რაიონის ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114, სიღნაღის რაიონის წნორის № 207, ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 და ქალაქ სოხუმის ლაკობას № 361 საარჩევნო ოლქებში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 146—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 176 დეპუტატ ბ. ე. სარალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ბორის ერასტის ძე **სარალიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 147—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 177 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება „სკკპ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებებითა და რჩევით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით სულ უფრო წარმატებით ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას და წარმართავენ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობლივ შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის უზრუნველსაყოფად.

1983 წელს სახალხო მეურნეობამ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მთლიანად წარმატებით გაართვა თავი დაძაბულ დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. წარმოების ზრდის ტემპმა მრეწველობაში 105 პროცენტი შეადგინა. გადაჭარბებით შესრულდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დავალება. გარკვეული წარმატებებია მიღწეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

ამაღლდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის დონე. გაუმჯობესდა სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, მუდმივი კომისიების საქმიანობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი როლი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში, კონტროლის გაძლიერებასა და შესრულების შემოწმებაში, არსებული რეზერვების გამოვლენაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებასა და ყოველმხრივ დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში; საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

გაღრმავდა და გაფართოვდა ყველა საფეხურის დეპუტატთა საქმიანობა; მეტ აქტიურობას იჩენენ დეპუტატთა ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფები და დეპუტატთა სხვა ფორმირებანი, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად.

საბჭოთა ორგანოები ადგილებზე სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის, შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების მდგომარეობის, მუქთახორობასთან ბრძოლის საკითხებს, მიკრორაიონთა საბჭოების საქმიანობის სრულყოფას, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას.

რესპუბლიკაში უმჯობესდება დაჯილდოების საქმის სრულყოფისათვის მუშაობის ფორმები და მეთოდები; თანამიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი მშრომელთა წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად სახალხო დეპუტატთა ბევრი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობაში კვლავ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები: მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სრულად არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, არ იჩენს ინიციატივას, სიმტკიცეს, სათანადო გერგილიანობასა და კომპეტენტურობას; მთელ რიგ საბჭოებში წინანდებურად არადამაკმაყოფილებელია გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, შეიმჩნევა ფორმალიზმი და გაუბრალოება მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, საბჭოთა აქტივის საქმიანობაში.

ბევრი სამინისტრო, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე გამოსვლაში ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების საკითხთა გადაწყვეტისას ჯერ კიდევ ცდილობს ადგილობრივი საბჭოების გვერდის ავლით იმოქმედოს. არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში. ყველა საბჭო სათანადოდ არ ზრუნავს ქალაქების, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს ყველა დარგის მუშაობის სრულყოფისათვის.

შემდგომ დახვეწას საჭიროებს სესიების, მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. ისინი ჯერ კიდევ არასაკმარის გავლენას ახდენენ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების კომპლექსურობაზე, ყოველთვის არ იღებენ დასაბუთებულ და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

კვლავ ბევრია გასაკეთებელი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის საქვეუწყებო სამართალდამცველი და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ ფორმირებათა და საბჭოთა აქტივის ძალების კოორდინაციისა და კონცენტრაციის უზრუნველსაყოფად ყველა საფეხურის საბჭოების საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, საერთო-სახალხო სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფაში მათი როლის ამაღლების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა იხელმძღვანელონ პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით და უზრუნველყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილებათა განუხრელი შესრულება. ამ მიზნით:

— თავიანთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნიონ ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, საქმიანობის შინაარსისა და სტილის მუდმივი სრულყოფა, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, 1984 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვაში მათი როლის გაძლიერება, კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის უზრუნველყოფა, სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილი უფლებებისა და უფლებამოსილების უფრო სრულად რეალიზაცია;

— გააძლიერონ მუშაობა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ კანონების მოთხოვნათა რაც შეიძლება სრულად განსახორციელებლად;

— კრიტიკულად გააანალიზონ საქმის ვითარება სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ამასთან ყურადღება ძირითადად გაამახვილონ სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამების შესრულებაზე, წარმოების გადიდებასა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაზე; უზრუნველყონ საბინაო და კომუნალური მეურნეობის გეგმების შესრულება, მომსახურების სფეროს გაფართოება, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება;

— შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა მასების სოციალური და შრომითი აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის, დაუცხრომლად ეძიონ დამატებითი რეზერვები ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ დასახულ დავალებათა

შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, დააჩქარონ უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, განაგრძონ ნედლეულის, მასალების, ენერგეტიკული, მატერიალური, ბუნებრივი, შრომითი და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენების რეზერვების ძიება, მაქსიმალურად გამოიყენონ გეგმის გადაჭარბებით რეალიზაციის ყველა შესაძლებლობა;

— სრულყონ მოსახლეობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა, წარმართონ იგი მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომ გასაუმჯობესებლად; მეტი ყურადღება დაუთმონ სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის, სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობათა პროპაგანდას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგების, ქვეყნის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევათა ჩვენებას;

— თანამიმდევრულად განამტკიცონ საშემსრულებლო დისციპლინა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალისტური დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებას; მიაღწიონ მუშაობაში ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და უპასუხისმგებლობის აღმოფხვრას, შრომითს კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებას და უყაირათობასთან, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებას, უფრო სრულად განახორციელონ მუდმივი კომისიების საკონტროლო ფუნქციები, აქტიურად და ეფექტიანად გამოიყენონ კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება; მკაცრად და ობიექტურად შეაფასონ თანამდებობის პირთა და ყველა დონის სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობა;

— აამაღლონ სესიების როლი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში; მიაღწიონ მუდმივი კომისიების საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, გაააქტიურონ მათი მონაწილეობა სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გააღრმაონ და გააფართოონ დეპუტატთა ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფების, დეპუტატთა სხვა ფორმირებების, შრომითს კოლექტივებსა და საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა საქმიანობა;

— სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას ყურადღება გაამახვილონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე; უფრო სრულად გაითვალისწინონ განაწესები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტების შედგენის დროს, გამოძებნონ ადგილობრივი რეზერვები და შესაძლებლობები მათს სარეალიზაციოდ;

— მიკრორაიონთა საბჭოების, ქუჩისა და სახლის კომიტეტების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების, პროფილაქტიკის საბჭოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების მეშვეობით გააფართოონ და სრულყონ საბჭოების საქმიანობაში მოსახლეობის მონაწილეობის ორგანიზაციული ფორმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა



— გააძლიერონ მუშაობა საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვისა და გადაწყვეტის, საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგების უზრუნველსაყოფად; ყოველმხრივ განავითარონ მუშაობაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის ლენინური პრინციპები;

— მიიღონ დამატებითი ზომები მოქალაქეთა წერილების დროული, ობიექტური განხილვის უზრუნველსაყოფად და მათი მიღების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, უკეთ შეისწავლონ მათ მიერ დაყენებული საკითხები, ოპერატიული რეაგირება მოახდინონ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამიზნულ წინადადებებსა და შენიშვნებზე;

— დაუცხრომლად იზრუნონ საბჭოთა კადრების პროფესიული დაოსტატებისა და კომპეტენტურობისათვის, საქმისადმი ერთგულების, თავიანთი მოვალეობისადმი პარტიული, პრინციპული დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდისათვის.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა გამუდმებით სრულყონ მუშაობის ორგანიზაცია, გააძლიერონ ზეგავლენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების რეალიზაციაზე და კონტროლი კანონების შესრულებისადმი. მიიღონ საჭირო ზომები კომისიების რეკომენდაციათა შესრულების უფრო ზუსტი ორგანიზაციისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მუდმივად სრულყოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, სისტემატურად განაზოგადოს და გაავრცელოს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, მიაღწიოს მათს მუშაობაში თადარიგიანობის, შემსრულებლობის, სიზუსტის, შეთანხმებულობის, ინიციატიურობის უზრუნველყოფას.

*

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, შრომითს კოლექტივებს, მშრომელებს მთელი ძალ-ღონე მოახმარონ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, 1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალდებულებების შესრულებას და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 148—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დადგენილება

## 178 ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა რესპუბლიკაში რეალიზაციის ამოცანების თაობაზე

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება, აღნიშნავს, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე მოწონებულ და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საკანონმდებლო წესით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებები, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის და მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო, ნაყოფიერი შრომის ორგანიზაციის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადებაში მისი როლის გაზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების, სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდისა და ბავშვთა სკოლაში სწავლებისათვის მომზადების შემდგომი გაუმჯობესების საერთო-სახალხო ამოცანების განხორციელებისათვის, წარმოადგენს რეფორმის რეალიზაციის მეცნიერულად დასაბუთებულ სტრატეგიულ პროგრამას, რომელიც ეტაპობრივად განსაზღვრავს გასატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებელ ღონისძიებათა კომპლექსს, დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, მოსწავლეთა შრომითი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის სრულყოფისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილია მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭო. ანალოგიური საბჭოები ფუნქციონირებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან — მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის კომისიები. ზოგიერთ სამინისტროში, უწყებაში, მსხვილ საწარმოში მოქმედებენ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის სპეციალური სამსახურები.

თანამიმდევრულად იზრდება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში. მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს იგი 30 პროცენტს შეადგენდა, 1985 წლის ბოლოსათვის კი გეგმით გათვალისწინებულ 40 პროცენტს მიაღწევს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ინიციატივით ზოგიერთ რაიონში ფართო გასაქანი მიეცა საზოგადოებრივ მეურნეობათა სახსრებით სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას. ბოლო წლებში ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ააშენეს 11 სკოლა და ბაგა-ბაღი, ჩხოროწყუს რაიონის — 8, მახარაძის რაიონის — 6. სოფლის რაიონებს შორის პირველად ზუგდიდის რაიონში მოეწყო გახანგრძლივებული დღის სკოლები, აგრეთვე გაიხსნა ორი სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში სასკოლო რეფორმის განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვანი ზომების მიღებას ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გაფართოების, მათი ზნეობრივი, შრომითი და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

1983/1984 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 161 ათასი მოსწავლე მეცადინეობს მეორე, ხოლო 2600 — მესამე ცვლაში. ამასთან სკოლების 20 პროცენტი, უმთავრესად სოფლად, ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, — 477 სკოლის 60 ათას მოსწავლეს დაქირავებულ შენობებში უხდება მეცადინეობა, განსაკუთრებით მძიმე პირობები აქვთ დაწყებით სკოლებს.

17.810

ამჟამად ქალაქის 113 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან 32-ს არ გააჩნია სასწავლო-საწარმოო სახელოსნო, ხოლო სოფლის 9 სასწავლებელს — სასწავლო მეურნეობა. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში დაზგა-დანადგარების პარკი ნორმატიულის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 3 ნოემბრის დადგენილება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომპლექსების, სახელოსნოების, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის შესახებ დღემდე არ შეუსრულებია 24 საწარმოსა და ორგანიზაციას.

კვლავ დიდია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთესვის პროცენტი. გასულ წელს მან საერთო კონტინგენტის 7,2 პროცენტი შეადგინა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ადგილზე დამაგრებას.

ყველა სკოლა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრებით. სკოლების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, კვლავ განიცდის ცალკეული საგნების მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სრულად არ იყენებენ სახალხო განათლების მართვის სრულყოფისათვის კონტროლის კანონით მინიჭებულ უფლებებს, ჯეროვან დახმარებას არ უწევენ სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს კადრებით განმტკიცების, მათთვის საჭირო პირობების შექმნის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის სახალხო-სამეურნეო ობიექტების საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა:

— განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით;

— უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა უცილობლივ შესრულება;

— რეფორმის ეტაპობრივად რეალიზაციის პერიოდში განახორციელონ მიზანმიმართული კონკრეტული ღონისძიებანი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის ძირეული გარდაქმნისათვის. უზრუნველყონ მოსწავლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიერ მეცნიერების საფუძვლების უფრო ღრმად დაუფლება, მათში მტკიცე კომუნისტური მრწამსის, შრომისმოყვარეობის, ზნეობრივი სიწმინდის ჩამოყალიბება, ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სამშობლოს ჰარმონიულად განვითარებულ მოქალაქეებად ფორმირება, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ძირეული გაუმჯობესება, ნაყოფიერ შრომასთან სწავლების სრული შეხამება, სასწავლებლებში კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა თაობის განათლებისა და აღზრდის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ამჟამად მოქმედი მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საუწყებათაშორისო საბჭოებისა და კომისიების ნაცვლად შეიქმნას სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიები.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ პირველი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, დროულად მოამზადონ და სკოლებს დაუგზავნონ სასწავლო პროგრამები, მეთოდური წერილები და სათანადო რეკომენდაციები ექვსწლიან პირველკლასებთან მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა ახალი სასწავლო წლიდან მიიღონ ზომები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, მოსწავლეთა შრომითი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისათვის, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების და მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მოსწავლე ღრმად დაეუფლოს მეცნიერების საფუძვლებს, გამოიმუშაოს მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარი და ჩვევები; გაატარონ სათანადო პედაგოგიური ღონისძიებები მოსწავლეთა წიგნზე და ცოდნის სხვა წყაროებზე მუშაობის შესაჩვევად
მათ დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში, გაა
პოლიტექნიკური მიმართულება, მეტი ყურადღება დაუ
ლაბორატორიულ მეცადინეობებს.

5. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათ
კომიტეტმა რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ღრმად
პუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის
მარეობა მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის და მი
მები სასწავლო-საწარმოო პროცესის შემდგომი სრულყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოის საქმიანი კონტაქტები რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტებთან, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან რეფორმის ძირითად მიმართულებათა ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად; დარგობრივი სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან ერთად დააწესოს სისტემატური კონტროლი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე XII ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის მიმდინარეობისადმი.

6. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო მეთოდურმა ცენტრმა ერთობლივად შეიმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის აქტუალური საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თანამედროვე ეტაპზე სახალხო განათლების ამ ორი რგოლის დაახლოებას და მათი მემკვიდრეობითობის დაცვას.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების, უნივერსიტეტების პედაგოგიური სპეციალობათა მიზნობრივი კონტინგენტით დაკომპლექტება, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ კონკურსგარეშე მიღების, ლიმიტების, მოსამზადებელი განყოფილებების შესაძლებლობები, მიიღონ ზომები მამაკაც მასწავლებელთა რიცხვის გასაზრდელად; განახორციელონ სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფის ღონისძიებები.

8. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა შექმნან მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში საჭირო პირობები მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის. თავიანთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში გაითვალისწინონ მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვა, ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებთან ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შრომითი სწავლების მოწყობისათვის; საბაზო საწარმოებმა და დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ჯეროვან ორგანიზაციას.

9. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სახსრებით სკოლამდელი დაწესებულებებისა და ზოგადსაგან-

მანათლებლო სკოლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა გაფართოებისათვის.

10. საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმძღვანელოთა დამატებითი ტირაჟის გამოცემის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადის მთლიანად შესრულება.

11. რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ, საერთო-სახალხო საქმეში, მიაღწიონ, რომ მწერლებმა, დრამატურგებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მოღვაწეებმა შექმნან ახალი მაღალმხატვრული საბავშვო ნაწარმოებები.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებები სახალხო განათლებისადმი ხელმძღვანელობის დონის ასამაღლებლად, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, უზრუნველყონ სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის გეგმების უთუო შესრულება, გააუმჯობესონ საჭირო ინვენტარით, სასწავლო-თვალსაჩინოებანით, სკოლების მომარაგება; ყოველდღიურად იზრუნონ პედაგოგთა კადრების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის; გაააქტიურონ საბაზო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობა სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სათანადო საწარმოო ბაზის შესაქმნელად.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები ზოგადი საშუალო განათლების ახალ სტრუქტურაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის პედაგოგ-ოსტატების კადრების მომზადების მოწესრიგების თაობაზე.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად დასახული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა.

15. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო განათლების ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა ზოგადსაგანმანათლებლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დარგში მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და პროპაგანდას.

*

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო განათლების ორგანოები პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 149—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 179 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებში ჩამოყალიბებული დებულებებით და დასკვნებით, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და საქართველოს კომპარტიის

ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებით, თანმიმდევრულად სრულყოფენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა განხილვისა და შესრულების ორგანიზაციას.

1980-1983 წლებში კომისიების მიერ მიღებული 500-ზე მეტი რეკომენდაცია განიხილეს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა. მათი უმრავლესობა აისახა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და ყოველწლიურ სახელმწიფო გეგმებში.

კომისიების რეკომენდაციათა შესრულების ორგანიზაციის საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყურადღების ცენტრშია. 1983 წლის 11 თებერვალს მინისტრთა საბჭომ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ და განხილვის შედეგები მოახსენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა რეალიზაციამ ბევრად შეუწყო ხელი საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, სასურსათო პროგრამის განხორციელებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და უწყება სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესრულების საქმეს, დროულად არ იხილავს და სათანადო კონტროლს არ აწესებს მათი განხორციელებისადმი, საფუძვლიანად არ სწავლობს და არ ეძიებს საშუალებებს მათი სარეალიზაციოდ, დაწესებულ ვადებში არ აცნობებს კომისიებს რეკომენდაციათა შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისია ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდება მიღებული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის ორგანიზაციას. სრულყოფას საჭიროებს მუდმივი კომისიების ანალიზური მუშაობა, შემდგომ ამაღლებას — მათი საქმიანობის ეფექტიანობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. აღინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების დადებითი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესასრულებლად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გააძლიეროს მომთხოვნელობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისადმი მათ მიერ საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა განხილვისა და შესრულების საქმეში.

3. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს განუხრელად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ დებულების მოთხოვნები, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა და წინადადებათა შესრულების ორგანიზაციას, პერიოდულად განიხილონ მათი რეალიზაციის მიმდინარეობა და შედეგები დაწესებულ ვადებში მოახსენონ მუდმივ კომისიებს.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს:

— თავიანთ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებში ჩამოყალიბებული დებულებებით და დასკვნებით. გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, დროულად გამოეხმაურონ სახალხო მეურნეობის საჭიროებებს, ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ქმედითი კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

— სისტემატურად სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, გააძლიერონ მომთხოვნელობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისადმი მიღებულ რეკომენდაციათა შესრულებაში; საჭირო შემთხვევებში სათანადო ორგანოებში შეიტანონ საკითხი ცალკეულ ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ; რეკომენდაციათა რეალიზაციის ორგანიზაციისა და კონტროლის საქმეში ფართოდ ჩააბან კომისიის წევრი-დეპუტატები, მეცნიერები და სახალხო მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები;

— მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან; გააფართოონ საკითხების შესწავლა-განხილვისათვის ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა.

*

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები შემდგომშიც განა-

ხორციელებენ ღონისძიებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა და წინადადებათა შესრულების ორგანიზაციის სრულყოფისათვის. მუდმივი კომისიები საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და მუდმივი კომისიების შესახებ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად უფრო აქტიურად ჩაებმებიან რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, გააძლიერებენ საკონტროლო საქმიანობას და ამით ხელს შეუწყობენ საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შემდგომ ამაღლებას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 150—X—ს

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

**180** **საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1984 წლის 16 იანვრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების 26-ე მუხლის შევსების თაობაზე";

1984 წლის 14 თებერვლისა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე";

1984 წლის 7 მარტისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984 წლის 16 მარტისა „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 26-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“;

1984 წლის 6 აპრილისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1984 წლის 25 აპრილისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“;

1984 წლის 23 მაისისა „სატრანსპორტო საშუალებათა ანგარების მიზნით გამოყენებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“;

1984 წლის 28 მაისისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 151—X—ს

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

**181** **„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 17 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 152—X—ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 182 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1984 წლის 14 იანვრისა — ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, პედაგოგიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1984 წლის 20 იანვრისა — ამხ. თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1984 წლის 17 თებერვლისა — ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 153—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 183 „ამხ. ნ. გ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლსი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 25 მაისის ბრძანებულება „ამხ. ნ. გ. ხუციშვილის საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.
№ 154—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 184 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქ. ა. კოტოშაშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქ. ა. კოტოშაშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე — თიანეთის რაიონში ახლადშექმნილი ოჯახებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს როგორც თიანეთის, ასევე რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებიდან საკარმიდამო მიწის ფონდში ფართობების გამოყოფის საკითხი, მათ შორის ახლადშექმნილი ოჯახებისათვის, დიფერენცირებულად, რაიონებისა და ცალკეული სოფლების ადგილობრივი პირობებისა და სოფლის მეურნეობაში მუშახელის დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 ივნისი.
№ 155—X—ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 185 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

**ავიძბა** ზაურ ხაკის ძე — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრად.

**გუმბარიძე** გივი გრიგოლის ძე — კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის წევრად.

**კავსაძე** ალექსანდრე ირაკლის ძე — კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის წევრად.

**კურტანიძე** გიორგი ნიკოლოზის ძე — მრეწველობის კომისიის წევრად.

**ლორთქიფანიძე** ტარიელ ვლადიმერის ძე — საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრად.

**მამაცაშვილი** გურამ სპარტაკის ძე — სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად.

**საყვარელიძე** ავთანდილ პეტრეს ძე — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად.

**ქევხიშვილი** თამაზ შალვას ძე — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრად.

**ღოლიჯაშვილი** არსენ ზაქარიას ძე — სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად.

**ხაბურზანია** ლეო იასონის ძე — საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 2 ივნისი.

№ 156—X—ს

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 186 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „**ხანძარზე მამაცობისათვის**“ დაჯილდოვდნენ:

**ხუბაშვილი** ილია გიორგის ძე — კოდისწყაროს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის შრომისა და უსაფრთხოების ინჟინერ-ტექნიკოსი.

**ხუბაშვილი** ალექსანდრე გიორგის ძე — კოდისწყაროს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 22 ივნისი.

№ 2510—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 187 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**გრომოვი** ვლადიმერ ილიას ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამმართველოს უფროსი ოფიცერი.

**რუჩინი** ედუარდ ლეონიდის ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 28 ივნისი.
№ 2521—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 188 ამხ. მ. მ. მიქაძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სადგურის აღმდგენი მატარებლის ელექტრომონტიორს ამხ. მიხეილ მელიტონის ძე **მიქაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 7 ივნისი.
№ 2490—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 189 ამხ. ი. ი. ხოსიტაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსს

ამხ. ილია იროდიონის ძე **ხოსიტაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 13 ივნისი.
№ 2492—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 190 ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“**

**კილასონიას** ნაზი გიორგის ასულს — განყოფილების გამგეს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

**იაკობაშვილს** დავით ვლადიმერის ძეს — ფოტოკორესპონდენტს.
**პოპიაშვილს** თამარ გიორგის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამქროს უფროსს.
**ხუბაშვილს** ლეილა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“**

**ტერელაძეს** ცინარა აკაკის ასულს — მთავარ მხატვარს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 15 ივნისი.
№ 2500—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 191 ამხ. თ. გ. ჭანიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თეიმურაზ გიორგის ძე **ჭანიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 20 ივნისი.
№ 2504—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 192 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფისათვის „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამ დარგის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“:**

**ბალდოშვილს** ანა იოსების ასულს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 1 საქსოვი ფაბრიკის მქსოველს.

**ბაკურაძეს** ლავრენტი გიორგის ძეს — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის გადამჭიმველს.

**ბალანჩივაძეს** ლია პოლიკარპეს ასულს — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ გამომჭრელს.

**ბურდულს** ქეთევან გიორგის ასულს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ფეიქარს.

**გიორგაძეს** ნათელა აბესალომის ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მხვეველს.

**გიორგაძეს** ჩუტუნა იონას ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" საქსოვი ფაბრიკის ფეიქარს.

**გოლუბოვსკაიას** რაისა ივანეს ასულს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მრთველს.

**გუმბერიძეს** კლარა აკაკის ასულს — თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირს.

**დიდებაშვილს** გიორგი ილიას ძეს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქვეოსტატს.

**დოგრაშვილს** ლუიზა მიხეილის ასულს — ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათის" მკერავ-მოტორისტს.

**კილასონიას** ცირა ნიკოლოზის ასულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფეიქარს.

**კაშიორსკაიას** ტატიანა ფედოტის ასულს — თბილისის ბავშვთა ტრიკოტაჟის ფაბრიკის მქსოველს.

**მაჭარაძეს** ხინო ერასტის ასულს — სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშას.

**მეტრეველს** ნათელა ალექსანდრეს ასულს — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" მკერავ-მოტორისტს.

**მოწონელიძეს** ომარ ილარიონის ძეს — თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის ქვეოსტატს.

**ხებაძეს** ხაზიბროლა ილიას ასულს — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარის" მკერავ-მოტორისტს.

**ნიკოლაიშვილს** პავლე ანტონის ძეს — თბილისის შალსაქსოვი ფაბრიკის ქვეოსტატს.

**სიხარულიძეს** ნანული ვახტანგის ასულს — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომჭრელს.

**ქარელიძეს** ხუმა ივანეს ასულს — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრთველს.

**ქისტაუროს** დარეჯან დავითის ასულს — თბილისის სართავი ფაბრიკის მრთველს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 21 ივნისი.

№ 2509—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 193 ამხ. გ. ი. მახარაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა **სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ამიერკავკასიის საოლქო**

სამმართველოს უფროსს ამხ. გიორგი ისიდორეს ძე **მახარაძეს** მიენიჭოს **საპატიო** წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 22 ივნისი.
№ 2514—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 194 რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

**ავალიანს** თინა მიხეილის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ბასილაიას** გიორგი პლატონის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**ბეჟაშვილს** დავით აბრამის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ბერაძეს** გიორგი ალექსის ძეს —საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ბუროვას** ირინა ივანეს ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**გაბაშვილს** თამარ ივანეს ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**გულორდავას** შალვა ფილიპეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**დვალს** ქეთევან რაფიელის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**ესენს** მიხეილ ალექსის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**თალაკვაძეს** გერმანე ნესტორის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**დოლიძეს** გივი ლავრენტის ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

**კალანდარიშვილს** გიორგი მაქსიმეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**კალამკაროვას** ეკატერინე გევორქის ასულს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.

**კანდელაკს** თამარ ვლადიმერის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**კახაძეს** ანტონ ემანუილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**კიკილაშვილს** თებრო ზაქარიას ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**კიფარენკოს** თამარ ნიკოლოზის ასულს—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**კობიძეს** შოთა რაჟდენის ძეს—საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**ლომჯარიას** ნიკოლოზ თომას ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**მახარაშვილს** გიორგი ნიკოლოზის ძეს — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის მასწავლებელს.

**მესხს** ნინო აკაკის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანს.

**ნორაკიძეს** გიორგი ყარამანის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**რატიანს** ჰენრიხ ვასილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

**რატიას** ალექსანდრე ესტატეს ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**სალუქვაძეს** ბორის ალექსანდრეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორს.

**სანებლიძეს** მელიტონ სტეფანეს ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**სანიკიძეს** ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ტყეშელაშვილს** ვლასი გიორგის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**ჩაგელიშვილს** თამარ სარდიონის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

**ცისკარიშვილს** გიორგი დიმიტრის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ჯაყელს** ქრისტეფორე გერასიმეს ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 25 ივნისი.
№ 2519—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 195 სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი"**

**ვარაზაშვილს** რუქაია ივანეს ასულს — განყოფილების უფროსს.
**იმნაიშვილს** ნუნუ შალვას ასულს — განყოფილების უფროსს.
**კუჭაშვილს** ქეთევან ივანეს ასულს — მიკრობიოლოგს.
**ლიაძეს** ლეილა შალვას ასულს — განყოფილების უფროსს.
**მგალობლიშვილს** ნატალია პაატას ასულს — ცენტრალური ლაბორატორიის ხელმძღვანელს.
**ჭანიშვილს** ლამარა გრიგოლის ასულს — ფაგის საამქროს უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**ჩიკვაიძეს** ომარ ივანეს ძეს — მთავარ ინჟინერს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**

**მოისწრაფიშვილს** ნინო სერაფიონის ასულს — უფროს ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

**ტაბოროვს** მიხეილ ეგორის ძეს — მთავარ ბუღალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 25 ივნისი.
№ 2718—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 196 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

**ავალიანს** ლევან ვასილის ძეს—თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**გელაძეს** თინა შალვას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**კაკულიას** აკაკი გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**კაპანაძეს** რევაზ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**კარსანოვს** ნიკოლოზ ვასილის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ბიოფიზიკის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**კვაჭაძეს** იოსებ მახარობლის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ნიჟარაძეს** გურამ ილიას ძეს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ტატიშვილს** გურამ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**უშვერიძეს** გიორგი ანდრიას ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**შარაშიძეს** ლუარსაბ კალისტრატეს ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ჭელიძეს** ლია ნიკოლოზის ასულს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**ხოჭავას** ალექსი ილარიონის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

## „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"

**დიასამიძეს** ბარბარე ელისეს ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

**დიდებულიძეს** დარეჯან გრიგოლის ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის ასისტენტს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი"

**ბარგს** ლევ აბრამის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ სპეციალისტს.

**გედევანიშვილს** თინათინ ნიკოლოზის ასულს — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმ-რენტგენოლოგს.

**კალანდარიშვილს** სუზანა დავითის ასულს — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკის ორდინატორს.

**ლომიძეს** ნათელა ლევანის ასულს — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტორპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ლაბორატორიის გამგეს.

**ფუფინას** ნინო ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ღ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმ-ანესთეზიოლოგს.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ელაგოვს ალექსანდრე კარაპეტის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის კავშირგაბმულობის ბიუროს გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 29 ივნისი.
№ 2530—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 197 ამხ. მ. გ. ბერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. მადონა გიორგის ასული **ბერაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 6 ივნისი.
№ 2484—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 198 ამხ. ა. ბ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ანდრია ბაგრატის ძე **ბახტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 ივნისი.
№ 2488—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 199 ამხ. ვ. გ. ბერულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვახტანგ გიორგის ძე **ბერულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 ივნისი.
№ 2487—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 200 ამხ. ლ. შ. ელიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამხ. ლია შალვას ასული **ელიავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 ივნისი.
№ 2489—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 201 ამხ. ე. დ. ოზიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ამხ. ელენე დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ასული **ოზიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 ივნისი.
№ 2491—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 202 ამხ. მ. დ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი ამხ. მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1984 წლის 14 ივნისი.
№ 2497—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 203 ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი **„საქართველოს ქალი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 15 ივნისი.
№ 2498—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 204 ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბარათაშვილი** მარიამ გერვასის ასული — რედაქტორი.

**ბუკია** ემა გერმანეს ასული — ტექნიკური რედაქტორი.

**გურგენაშვილი** რუსუდან ზაქარიას ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობი.

**კაკაბაძე** ლია ვლადიმერის ასული — განყოფილების გამგე.

**ოსიპოვა** რუსუდან ვარდენის ასული — მემანქანე.

**რევია-დადიანი** ოლღა ნესტორის ასული — შტატგარეშე კორესპონდენტი.

**შენგელია** ლეონარდო გიორგის ძე — შტატგარეშე მხატვარი.

**ჩოფიკაშვილი** ირმა გიორგის ასული — განყოფილების გამგე.

**ცაგარეიშვილი** ნანული რაჟდენის ასული — განყოფილების გამგე.

**ჯაფარიძე** ეთერ ვლადიმერის ასული — პასუხისმგებელი მდივანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 15 ივნისი.
№ 2499—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 205 ამხ. ნ. ო. ანდრიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნოდარ ონისიმეს ძე **ანდრიაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 18 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 206 ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით IV მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გაბრიელის ძე **ბოჭორიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 20 ივნისი.
№ 2505—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 207 ამხ. პ. ი. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმონტაჟკომპლექტის" მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსი ინჟინერი ამხ. პავლე იაკინთეს ძე **გელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 20 ივნისი.
№ 2507—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 208 ამხ. ი. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ .ირაკლი არჩილის ძე გიორგაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 20 ივნისი.
№ 2503—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 209 ამხ. გ. ი. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აჭარის სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქსაკვებმანქანის" გენერალური დირექტორი ამხ. გიორგი ილიას ძე ცინცაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 20 ივნისი.
№ 2506—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 210 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამ დარგის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბაგრატაშვილი** ელენე დავითის ასული — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყავეულის საწარმოო გაერთიანების მუშა.

**ბიგანოვი** ვლადიმერ სერგოს ძე — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის ოსტატი.

**გელაშვილი** რუსუდან გრიგოლის ასული — ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

**გოჩიაშვილი** ვენერა რაჟდენის ასული — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარის" ცვლის უფროსი.

**გუგეშაშვილი** ლალი დომენტის ასული — ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების მქსოველი.

**დოლიძე** ასლან ალექსანდრეს ძე — მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის დირექტორი.

**მიქაბერიძე** აკაკი დავითის ძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.

**მუშკუდიანი** თამაზ ვალიკოს ძე — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საამქროს უფროსი.

**ნიქაბაძე** ლუსია ვლოდიას ასული — ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 21 ივნისი.
№ 2508—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 211 სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მიკრობიოლოგიის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილისათვის, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ნაყოფიერი მუშაობისათვის და ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 22 ივნისი.
№ 2515—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 212 ამხ. თ. ე. წივწივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თენგიზ ერასტის ძე **წივწივაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 22 ივნისი.
№ 2512—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 213 ამხ. თ. ს. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. თენგიზ სოლომონის ძე **ხუციშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 22 ივნისი.
№ 2513—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 214 ამხ. მ. ა. ელიოზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელთან დაკავშირებით მწერალი მერაბ აბელის ძე **ელიოზიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 25 ივნისი.
№ 2517—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 215 ამხ. ლ.დ. მჭედლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლევან დავითის ძე **მჭედლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 29 ივნისი.
№ 2529—X

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 1 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაციები საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის განსახილველი საკითხების შესახებ, დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულების ძირითად ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა და დაამტა იგი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, მის პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში მეათე მოწვევის პერიოდში (1981 წ. — 1985 წ.) ჩასატარებელ ღონისძიებებს.

* * *

მოისმინა რა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფისა და კავშირგაბმულობის მინისტრების, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, რესპუბლიკის სამხედრო კომისრისა და ომის ვეტერანთა საბჭოს კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარის ამხ. ამხ. კ. გარდაფხაძის, ვ. კობახიძის, ქ. გეგელაშვილის, ბ. სარალიძის, ლ. შარაშენიძისა და ნ. თავართქილაძის ინფორმაციები საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ამ მიმართულებით.

სამედიცინო დაწესებულებები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში ახორციელებენ ამ კატეგორიის პირთათვის დაწესებულ შეღავათებს — ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ, სტაციონარულ დაწესებულებებში ორგანიზებულია ომის ინვალიდების რიგგარეშე და მონაწილეების პირველ რიგში მიღება, მოგვარებულია აფთიაქებში წამლების უფასოდ გაცემის საქმე. მარტო 1983 წელს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ინვალიდთა უფასო სამედიცინო უზრუნველყოფაზე დახარჯული აქვთ 594 ათასი მანეთი. მათი მწვავედეფიციტური მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად ქ. თბილისში გახსნილია სპეციალური აფთიაქი, ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ზუგდიდის ცენტრალურ აფთიაქებში მუშაობენ შესაბამისი განყოფილებები, რაიონულ და სოფლის აფთიაქებში მათთვის იქმნება მედიკამენტების რეზერვები.

1983 წელს ომის ინვალიდთა 91,3 პროცენტმა გაიარა კომპლექსური სამედიცინო შემოწმება.

ადგილების შეზღუდულობის მიუხედავად ვეტერანებს სერიოზულ სამედიცინო დახმარებას უწევს ქ. თბილისში არსებული ომის ინვალიდთა რეაბილიტაციის რესპუბლიკური ჰოსპიტალი.

რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით 1982 წელს უფასო საკურორტო მკურნალობა ჩაუტარდა 3886 ინვალიდს, ხოლო 1983 წელს — 4032-ს. ამავე წლებში შეღავათიან საწყისებზე სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნა 1,5 ათასზე მეტი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჯობესდება ომის ინვალიდთა და დაღუპულ მეომართა ოჯახების პენსიით უზრუნველყოფა. 1983 წელს გადიდებული პენსია მიიღო 25 ათასზე მეტმა ომის ინვალიდმა და 4 ათასზე მეტმა ფრონტელის ქვრივმა. რამდენადმე გაუმჯობესდა ომის ინვალიდთა და მონაწილეთა ტელეფონით მომსახურება. სამი წლის განმავლობაში მათ დაუდგეს 7,5 ათასამდე ტელეფონი.

უკანასკნელ სამ წელიწადში რესპუბლიკაში 2 ათასზე მეტმა ომის ვეტერანმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინა.

რესპუბლიკის 20 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სამამულო ომის ვეტერანებისათვის შექმნილია სპეციალური სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, თბილისში მუშაობს ვეტერანთა ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების სპეციალური მაღაზია.

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ომის ვეტერანთა წერილებისა და წინადადებებისადმი ყურადღების გასაძლიერებლად — მათთვის დაწესებულია მიღების სპეციალური დღეები და საათები. 1983 წელს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატებს მიმართა ათი ათასზე მეტმა კაცმა.

საყურადღებოა ქ. თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, პირველი მაისის, ოქტომბრის რაიონების, ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, ზუგდიდისა და წულუკიძის რაიონების სამხედრო კომისარიატების მიერ მარტოხელა პენსიონერ-ფრონტელებთან და დაღუპულ მეომართა ოჯახებთან საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საშეფო მუშაობის ორგანიზაციის პრაქტიკა.

ომის ვეტერანებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, ჭაბუკთა სამხედრო სამსახურისათვის, სამშობლოს დასაცავად მომზადების საქმეში. ისინი დაუცხრომლად ეწევიან პარტიის, ხალხის, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდას, საქმიანად მონაწილეობენ საბრძოლო დიდების მუზეუმების შექმნასა და ოთახების მოწყობაში, ბევრ ძალ-ღონეს ახმარენ ახალგაზრდობის დამრიგებლობას. რესპუბლიკაში ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს 32 საბჭოთა კავშირის გმირი, 11 დიდების ორდენის სრული კავალერი, 28 თადარიგისა და გადამდგარი გენერალი, ყოფილ ფრონტელთა 70 ათასიანი რაზმი.

აღნიშნავს რა რესპუბლიკის შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დადებით მუშაობას დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამასთან ერთად მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლოვანება და ხარვეზია იმ სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების მუშაობაში, რომელთა მოვალეობაა სამამულო ომის ინვალიდების, მონაწილეებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა განხორციელება.

ომის ვეტერანების კორესპონდენციათა ანალიზი მოწმობს, რომ ისინი ძალზე უკმაყოფილონი არიან საბინაო ორგანიზაციების, სამედიცინო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, სავაჭრო საწარმოების, კავშირგაბმულობის და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობით. ბევრი საყვედურია გამოთქმული სასწრაფო დახმარების ცუდი ორგანიზაციის გამო, ცალკეული პოლიკლინიკების, „საქმედტექნიკის“ მაღაზიების მისამართით, სპეციალიზებული სადგურის „თბილავტოტექმომსახურების“ მუშაობასთან დაკავშირებით. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საჩივრები ომის ვეტერანთა და ინვალიდთა თხოვნისადმი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულების გამო.

კვლავინდებურად მწვავედ დგას ვეტერანთა საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების პრობლემა. არადამაკმაყოფილებლად სრულდება ამ საკითხებზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი დადგენილებები. ბინის მიღების აღრიცხვაზეა 1086 ომის ინვალიდი და დაღუპულ მეომართა 1907 ოჯახი.

საჭიროა ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტლის სასწრაფოდ გაფართოება 200 საწოლამდე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი აჭიანურებს ჰოსპიტლის შენობიდან რამდენიმე დარჩენილი მობინადრის გამოსახლებას.

სერიოზული ხარვეზებია ომის ვეტერანთა სპეციალიზებული მაღაზიების მუშაობაში: საქონლის შემოზიდვა წარმოებს არაგეგმაზომიერად, ღარიბია მისი ასორტიმენტი; ამგვარ მაღაზიებში ვაჭრობის ორგანიზაციისადმი კონტროლი არასაკმარისია — შეინიშნება ვაჭრობის მუშაკების მხრივ არაკეთილსინდისიერებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში არაკოორდინირებულობის გამო ომის ინვალიდები, რომელთაც ესაჭიროებათ სანატორიული მკურნალობა, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი საგზურებით მათთვის ხელსაყრელ დროს.

სოცუზრუნველყოფის ზოგიერთ განყოფილებაში დღემდე არ არის მოგვარებული იმ დაღუპულ მეომართა ოჯახების ზუსტი აღრიცხვა, რომელთაც ესაჭიროებათ გადაუდებელი მატერიალური დახმარება.

სამხედრო კომისარიატებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ომის ვეტერანებისათვის დაწესებული შეღავათების რეალიზაციისადმი მკაცრი კონტროლის ორგანიზაციას, ისინი ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად არ ატარებენ სათანადო შემოწმებას.

ახლოვდება ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამ სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაფერი გაკეთდეს ომის ინვალიდების, მონაწილეების, დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის განუხრელად დასაცავად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახორციელებლად. ამ მიმართულებით ყოველგვარი უპასუხისმგებლობა, ფორმალიზმი, უსულგულობა და საქმის გაჭიანურება დაუშვებელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ტ. კილასონიას ინფორმაცია მარტყოფის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს მუშაობის სტილის თაობაზე. აღინიშნა, რომ ახორციელებენ რა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებებს, სასოფლო საბჭო, მისი აღმასკომი, დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გეგმაზომიერ მუშაობას ეწევიან სასურსათო პროგრამის რეალიზაციისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის. მაგრამ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს საქმიანობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს. სასოფლო საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი მაქსიმალურად არ იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარებისა და სახალხო დოვლათის შექმნაში მათი წვლილის გადიდების შესაძლებლობანი. ნელი ტემპით ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან მოსახლეობის კოოპერირება; სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური მომსახურების სფეროს ობიექტების საქმიანობაში. სუსტია მათი მატერიალური ბაზა. არ არის მოგვარებული დაწესებულებებისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების საქმე. აღმასკომისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე ზოგჯერ ადგილი აქვს საკითხების ზერელედ განხილვისა და ფორმალური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებს. სათანადო ყურადღება არ ეთმობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციასა და კონტროლს. სუსტად მუშაობენ დეპუტატთა ჯგუფები. გაუმჯობესებას საჭიროებს ამომრჩეველთა და შრომითი კოლექტივების წინაშე დეპუტატ-

თა ანგარიშგების ორგანიზაცია, მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ოპერატიული რეაგირების საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს, მის აღმასკომსა და მუდმივ კომისიებს, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხები: სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებში 1983/84 სასწავლო წელს შემაჯამებელ მეცადინეობათა ჩატარების შესახებ, ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებზე კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის თაობაზე და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1984 წლის 20 ივნისს მიიღო დადგენილება რძის წარმოების გადიდებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — მწველავების პატრიოტული თაოსნობის შესახებ. აღინიშნა, რომ წლევანდელი ამინდის უაღრესად არახელსაყრელმა პირობებმა საგრძნობი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, დიდი სიძნელეები შექმნა საკვების დამზადებასა და რძის წარმოებაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა — მწველავებმა ე. მახვილაძემ, ქ. კოტოშაშვილმა, ა. თეგკაევამ, ა. გიორგაძემ, ზ. მამედოვამ, ს. ქოჩოიანმა და ე. ერაძემ გადაწყვიტეს პირუტყვის საძოვრული შენახვის პერიოდში მინდვრის საკვების მაქსიმალურად გამოყენებით მკვეთრად გაზარდონ მაღალხარისხოვანი რძის წარმოება. თითოეულმა მათგანმა იკისრა გადიდებული ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე მათი ოჯახის წევრთა აქტიურ მონაწილეობას საკვების მოყვანა-დამზადების საქმეში.

დეპუტატთა აღნიშნულმა ჯგუფმა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" საშუალებით მოუწოდა ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატს, ფერმებში მომუშავე თითოეულ მშრომელს მხარი დაუჭირონ მათს თაოსნობას და ფართოდ გაშალონ შეჯიბრება დევიზით: „რძე — ვალდებულების გადამეტებით".

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული წერილები ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკის მწველავები, პირველ რიგში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — მწველავების თაოსნობას ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — მწველავების პატრიოტული თაოსნობა ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ფართოდ გაავრცელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — მწველავების პატრიოტული თაოსნობა და თითოეულ შრომითს კოლექტივში გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მწველავთა შორის ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისათვის.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს რჩევა მიეცათ მწველავთა შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დააწესონ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — ფართოდ გააშუქონ ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისათვის რესპუბლიკაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე მწველავთა გამოცდილება.

*

*   *

1984 წლის 28 ივნისს გამართულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. კურტანიძის ინფორმაცია „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება. აღინიშნა, რომ მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა საბჭოს და მისი აღმასკომის საქმიანობა სრულად არ უპასუხებს „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის დადგენილების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნებს. არ არის უზრუნველყოფილი რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობა; საწარმოებსა და მეურნეობებში საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ბუნებრივი. შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის; ნაკლოვანებებით ხასიათდება საკურორტო მეურნეობის განვითარება და დამსვენებელთა მომსახურების ორგანიზაცია.

საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ყოველთვის არ არის კონკრეტული და მიზანმიმართული, ვერ უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას. არადამაკმაყოფილებელია პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და კონტროლის ორგანიზაცია. საბჭოები უნარიანად არ იყენებენ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ფართო შესაძლებლობებს საკონტროლო საქმიანობის სრულყოფის, სახელმწიფო, შრომის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, სამართალდარღვევებთან და განსაკუთრებით კი მუქთახორობასთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში. სუსტადაა გამოყენებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის ისეთი ეფექტიანი ფორმა, როგორიცაა დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

რაიონში ნელა იზრდება სამრეწველო წარმოების მოცულობა, მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, შემცირდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. სახალხო მეურნეობაში ნაკლებად ინერგება შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევებს.

რაიონის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის დანაკარგები მნიშვნელოვნად სჭარბობს საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, მინის ტარის ქარხანაში და „სახკომსპეცტრანსის" მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში.

1983 წელს რაიონის კოლმეურნეობებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 15 პროცენტმა არ გამოიმუშავა შრომის სავალდებულო მინიმუმი.

გასული წლის სამეურნეო შედეგების მიხედვით რაიონმა ვერ უზრუნველყო მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხილის, რძის, საქონლის ხორცის, მატყლის და სხვ. წარმოების გეგმების შესრულება. მეტად დაბალია მიწათმოქმედების კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს „ბორჯომის რაიონის კურორტების შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1979 წლის 28 ივნისის დადგენილებით გათვალისწინებული სამკურნალო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისა და კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოების დროულად და განუხრელად შესრულების საქმეში, სათანადო სიმტკიცეს — მინიჭებულ უფლებათა გამოყენებაში, აქტიურობას და მებრძოლურობას — რაიონში არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად; ვერ

უზრუნველყოფს ჯეროვან კონტროლს საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის და პროფკავშირის კომიტეტების მიერ საბინაო კანონმდებლობით დადგენილი საცხოვრებელი ფართობის ძიცემის წესის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის დადგენილების შესასრულებლად ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს და მისი აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და სათანადო დავალებანი მისცა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

*

* *

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებში შემაჯამებელ მეცადინეობათა შედეგებისა და საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1984-85 სასწავლო წლის სანიმუშო თემატიკის დამტკიცების შესახებ.

მიზანშეწონილად ჩაითვალა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლები გარდაიქმნას საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმებად.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ორგანიზაციული ღონისძიებანი საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმებში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და სწავლების ქმედითობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; საბჭოთა კადრების სწავლების სრულყოფის საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებით, აღნიშნულ პლენუმებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით. ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიისა და საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილებების შესწავლას;

ახალ სასწავლო წელს სემინარ-ლექტორიუმების მუშაობა უფრო სრულად დაუქვემდებარონ სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას, XI ხუთწლედის უმთავრესი ამოცანების წარმატებით შესრულებას, თითოეული საბჭოს საქმიანობაში კანონ-

მდებლობის, მართვისა და კონტროლის ერთიანობის უზრუნველყოფას, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო დისციპლინის, მაღალი ორგანიზებულობის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს დამკვიდრებას; დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას;

მიაღწიონ იმას, რომ თითოეული სახალხო დეპუტატთა საბჭო სრულად იყენებდეს სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას, თანამიმდევრულად სრულყოფდეს ორგანიზატორული და მასობრივი მუშაობის შინაარსსა და სტილს;

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მართვის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საკონტროლო საქმიანობის სრულყოფის, საბჭოთა კანონების დაცვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების და მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კონტროლის გაძლიერების თაობაზე პარტიის მოთხოვნების უცილობლივ შესრულებას;

საბჭოთა აქტივისა და დეპუტატთა სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ მათს საქმიანობას, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესებას, დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკის სრულყოფას. სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობებზე უფრო ღრმად გააანალიზონ და განაზოგადონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მოწინავე გამოცდილება, ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვის სიახლენი და უზრუნველყონ მათი ფართოდ დანერგვა;

აღმოფხვრან სწავლებაში ფორმალიზმისა და ზერელობის ელემენტები; განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება მეცადინეობათა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მომზადება-ჩატარებაზე; უზრუნველყონ მსმენელთა აქტიურობა; ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზონ სწავლების ზეგავლენა ყველა რგოლის საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაზე, სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და საბჭოთა აპარატის საქმიანობაში ბიუროკრატიზმის, უსულგულობისა და მოუქნელობის დაძლევაზე.

სწავლების თეორიული დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მეცადინეობების ჩასატარებლად რესპუბლიკის წამყვან მეცნიერ-ეკონომისტთა და სამართალმცოდნეთა მოწვევა სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სხდომამ მოიწონა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1984-85 სასწავლო წლის სანიმუშო თემატური გეგმა.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ამხ. კ. გარდაფხაძის მოხსენება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებში მოქალაქეთა მიღების და წერილებზე, განცხადებებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ და განიხილა პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები, აღინიშნა, რომ სამინისტრო თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და სადირექტივო ორგანოების მომდევნო დადგენილებებით, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების, პენსიებისა და სახელმწიფო დახმარების სწორად დანიშვნა-გაცემის, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის დაწესებული შეღავათების განხორციელებისათვის.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია. განცხადება-საჩივრების უმრავლესობა განხილულია დროულად და მათში აღძრული საკითხები გადაწყვეტილია სწორად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

პრაქტიკაშია სამინისტროს ხელმძღვანელებისა და პასუხისმგებელი მუშაკების შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან და მოსახლეობასთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამასთან აღინიშნა, რომ მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობაში სამინისტროს და განსაკუთრებით მის ადგილობრივ ორგანოებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები აქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. კ. გარდაფხაძე):

მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი მოქალაქეთა ზეპირ და წერილობით მიმართვებზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის. მიაღწიოს მათი კანონიერი თხოვნისა და განცხადებების მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილებას; მკაცრად დაიცვას წერილების განხილვის დადგენილი ვადები;

სისტემატური კონტროლი დააწესოს საპენსიო კანონმდებლობის განუხრელად შესრულებისადმი. კიდევ უფრო გააძლიეროს ყურადღება პენსიონერებისა და ინვალიდებისადმი, აამაღლოს მათი მომსახურების დონე, გააუმჯობესოს მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები; უფრო მეტად იზრუნოს პენსიონერებისა და ინვალიდების შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად;

ღრმად შეისწავლოს საქვეუწყებო ორგანიზაციებში წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის პრაქტიკა და შედეგები განიხილოს სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე ამა წლის 15 სექტემბრამდე;

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის 1985 წლის დასაწყისში ადგილებზე მოაწყოს შრომისა და ომის ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დათვალიერება და შედეგების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვასა და საპენსიო კანონმდებლობის შესრულებაზე.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებისა და პენსიების დამნიშვნელი, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობისადმი, შეუქმნან მუშაობისათვის საჭირო პირობები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ მიერ მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვასა და მათში დაყენებული საკითხების გადაწყვეტას, საპენსიო კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტად დაცვას; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ადგილებზე შრომისა და ომის ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დათვალიერების ჩატარებაში.

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საკითხი მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის მდგომარეობისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიამ—სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ვაჭრობის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვისა და კადრების მომზადების სრულყოფისათვის რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, ხოლო შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიამ — შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ.

## ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 20 ივნისის ბრძანებულებით ზუგდიდის რაიონის ანაკლიის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ერგეტა და ცვანე და შეიქმნა ერგეტის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ერგეტაში.